

ბუკლეტი მოცემულია პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ხშირად ისმება გენდერული საკითხების ირგვლივ: რა არის გენდერი და რა არის სქესი, რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა, პასუხისმგებლობის გაზიარება, თანაბარი შესაძლებლობები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობანი, სტერეოტიპები, კულტურა და ტრადიციები, ძალადობა ოჯახში, ტრეფიკინგი და მისი შედეგები.

ბუკლეტი გამიზნულია იმისათვის, რომ მოგაწოდოთ ძირითადი ინფორმაცია ამ საკითხების შესახებ.

სად შეიძლება დახმარების მიღება

ოჯახში ძალადობის ნებისმიერი შემთხვევისას შეგიძლიათ მიმართოთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელ ხაზს, ტელეფონის ნომერი:

2 309 903

რას ნიშნავს „სქესი“ და „გენდერი“?

„გენდერი“ ინგლისური სიტყვაა. ადრე იგი მხოლოდ გრამატიკული ტერმინი იყო და აღნიშნავდა არსებით სახელთა სქესს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნება „გენდერი“ გახდა ქალის და მამაკაცის ფუნქციის განმსაზღვრელი სოციალურ და კულტურულ გარემოში.

ზოგიერთ შემთხვევაში, რთული გასაგებია რას ნიშნავს ტერმინი „გენდერი“ და რით განსხვავდება ის „სქესისგან“, მეტიც, საზოგადოებას ხშირად უჭირს ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

„სქესი“ – ნიშნავს ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მახასიათებელს და განისაზღვრება შემდეგი ტერმინებით – ქალური/მდედრობითი და მამაკაცური/მამრობითი.

„გენდერი“ გამოხატავს სოციალურ როლს, ქცევას, აქტივობას, იმ მოლოდინსა და წესებს, რასაც საზოგადოება მიიჩნევს ქალურად ან მამაკაცურად.

უფრო მარტივად რომ განვმარტოთ: „ქალი“ და „მამაკაცი“ გამოხატავს სქესს, ხოლო „მასკულინური“ (მამაკაცური) და „ფემინური“ (ქალური) – გენდერს. სქესთან დაკავშირებული ასპექტები ერთნაირია ყველა საზოგადოებაში, ხოლო გენდერული ასპექტები განსხვავდება სხვადასხვა საზოგადოებების მიხედვით.

მაგალითად, სქესის მახასიათებლებია:

- ქალები მენსტრუირებენ, მამაკაცები არა
- მამაკაცებს აქვთ სათესლე ჯირკვლები, ქალებს არა
- ქალებს აქვთ ძუძუ/სარძევე ჯირკვალი, რომელიც ლაქტაციის პერიოდში რძეს გამოიმუშავებს

● მამაკაცებს უფრო მძლავრი ძელოვანი სისტემა გააჩნიათ, ვიდრე ქალებს.

გენდერის ზოგიერთი მახასიათებელია:

● ამერიკის შეერთებულ შტატებში (და უმრავლეს ქვეყნებში) ერთსა და იმავე სამსახურებრივ პოზიციაზე ქალებს აქვთ უფრო ნაკლები ხელფასი მამაკაცებთან შედარებით

● ვიეტნამში გაცილებით მეტი მამაკაცია მწველი, ვიდრე ქალი, რაც განპირობებულია კულტურულ-ტრადიციული თავისებურებებით: მწველი ქალი ვიეტნამისთვის არატრადიციულად ითვლება

● საუდის არაბეთში მამაკაცებს შეუძლიათ მანქანის მართვა, ქალებს არა

● მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ქალები უფრო მეტად არიან ოჯახური საქმიანობით დაკავებული მამაკაცებთან შედარებით.

გენდერული იდენტობა და გენდერული როლი

ადამიანთა უმრავლესობა მათი ბიოლოგიური სქესის შესაბამისად იყოფა ქალად ან მამაკაცად. მე-20 საუკუნემდე ადამიანის სქესი განისაზღვრებოდა მხოლოდ მისი გენიტალიების (სასქესო ორგანოების) მიხედვით, მაგრამ როდესაც ცნობილი გახდა ქრომოსომებისა და გენების არსებობის შესახებ, სქესის დიფერენცირებისადმი მიდგომა შეიცვალა. უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცს გააჩნია მამაკაცის გენიტალიები, ერთი X და ერთი Y ქრომოსომა (მამაკაცის ნორმალური კარიოტიპი – 46, XY); ხოლო ქალს აქვს ქალის გენიტალიები და ორი X ქრომოსომა (ქალის ნორმალური კარიო-

ტიპი – 46, XX). თუმცა, არიან ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ კომბინირებული, ანუ ორივე სქესისთვის დამახასიათებელი ქრომოსომები, ჰორმონები და გენიტალიები. უკანასკნელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ყოველ მე-100 ადამიანს შეიძლება ჰქონდეს არატიპური სქესი.

გენდერული იდენტობა განისაზღვრება, როგორც ინდივიდის მიერ საკუთარი თავის აღქმა და ის ძირითადად ორი ტიპისაა: ქალური ან მამაკაცური (ან იშვიათად ორივე ან არცერთი). გენდერულ იდენტიფიკაციას ადამიანი თვითონ ახდენს და წარმოადგენს მემკვიდრული და გარემო ფაქტორების კომბინაციას. მეორე მხრივ, გენდერული როლი საზოგადოებაში ვლინდება კონკრეტული გენდერისთვის დამახასიათებელი ქცევით ან გარეგნული ნიშან-თვისებებით. მაგალითად, თუ ინდივიდი მამრობითი სქესისაა და თავს მამაკაცად თვლის, მას აქვს მამაკაცისათვის ტიპური მახასიათებლები: ქცევა, ჩაცმულობა და/ან მანერიზმი. ანთროპოლოგების, ეთნოგრაფებისა და ისტორიკოსების მიერ განსაზღვრულია „მამაკაცისთვის ტიპური“ და „ქალისთვის ტიპური“ ქცევები თუ თვისებები, რომლებიც თავის მხრივ საკმაოდ პირობითია, ვინაიდან ის, რაც ერთი საზოგადოებისათვის მამაკაცის მახასიათებლად ითვლება, მეორე საზოგადოებაში შესაძლოა ქალისთვის იყოს დამახასიათებელი. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობები საზოგადოების შიგნით ყალიბდება და მის ცვლილებებთან ერთად, დროთა განმავლობაში იცვლება.

გენდერული როლი ხშირად გენდერული იდენტობის გარეგნული გამოვლინებაა, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. გენდერული იდენტობის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც ჩასახვისთანავე იწყება. ნაყოფის სქესის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუცლადყოფნის პერიოდში მდედრობითი

და მამრობითი სქესის ნაყოფში განსხვავებული ჰორმონების გამოყოფა. ეს ალბათ ძირითადად განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მდედრობითი სქესი შეესაბამება შესაბამის გენდერს და მამრობითი სქესი მამრობით გენდერს. არსებობს მოსაზრება, რომ გენდერული იდენტობის და როლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მშობელს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქმნის შვილის აღზრდისას მისთვის სასურველ გარემოს. გენდერული იდენტობის პირველი გამოვლინება 2 წლის ასაკისთვის ხდება. მოგვიანებით მის ფორმირებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორმა, მათ შორის – რელიგია, ეთნიკურ-კულტურულმა თავისებურებებმა, სოციალურმა სტატუსმა, პირადმა გამოცდილებამ. ზოგიერთ ქვეყანაში ტრადიციული გენდერული ნორმების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს გენდერული იდენტობის განსაზღვრაში. ადამიანის გენდერული როლი ცხოვრების მანძილზე ყალიბდება და შესაძლოა შეიცვალოს. მასზე გავლენას ახდენს: განათლება, მენტალობა, კულტურა, ეკონომიკა და ა.შ. გენდერული როლები ძლიერ განსხვავდება სხვადასხვა კულტურებში.

გენდერული იდენტობის და მასთან დაკავშირებული საკითხების გასაგებად, საჭიროა საზოგადოებას ნათლად ესმოდეს ეს საკითხები. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის ინფორმირებას, განათლებას და ცოდნას გენდერული იდენტობის და როლის ფორმირებაში. განმარტებისთვის ხშირად მშობელი ექიმს მიმართავს ბავშვის ან მოზარდის გენდერული იდენტობის დარღვევის გამო. მშობელმა სასურველია გაიაზროს, რომ ყველა ინდივიდი ფლობს გენდერულ იდენტობას და მისი შეცნობა ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. თუმცა გარკვეულ შემთხვევაში საჭირო ხდება სხვადასხვა სპეციალისტის ექიმთა კონსულ-

ტაცია (ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიური პედიატრიული, ანდროლოგი, ფსიქოლოგი, სექსოლოგი, ზოგიერთ შემთხვევაში ექიმ-გენეტიკოსი).

გენდერული როლები ასიმეტრიულია და არათანასწორი. სხვადასხვა საზოგადოებაში ქალსა და მამაკაცს შორის სხვაობა და უთანასწორობა გამოწვეულია მათთვის მინიჭებული უფლებებით, პასუხისმგებლობით, ქმედებებით, რესურსებზე ხელმისაწვდომობით და გადანაცვტილებების მიღების შესაძლებლობით.

ასევე მცდარია გავაგიგოთ გენდერი მხოლოდ ქალების საკითხთან. იგი მოიცავს ორივე სქესს და მათ ურთიერთმიმართებას. გენდერი ნეიტრალური თემაა და არ გულისხმობს კარგს და ცუდს, არამედ წარმოადგენს სოციალური პროცესების გაგების და კლასიფიკაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

გენდერულად დაბალანსებული მიდგომა

და სტერეოტიპები ხშირად ზღუდავს მამაკაცებისა და ქალების პოტენციალის სრულ რეალიზაციას და მათი უნარებისა და მიდრეკილებების მიხედვით განვითარებას. ეს, თავის მხრივ, საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება;

3. ეფექტურობა: გენდერული მიდგომის გარეშე შეიძლება დაიკარგოს მრავალი შემოქმედებითი იდეა, თუ არ იქნება გათვალისწინებული ქალებისა და კაცების განსხვავებული მოთხოვნილებები, მაგალითად, პრობლემათა „ქალური“ გადანაცვტილის გზები.

რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა

5♂% / 5♀%

მნიშვნელოვანია ნებისმიერი საზოგადოებისათვის, სულ მცირე, სამი ძირითადი საკითხის გამო:

1. ადამიანის უფლებები: როგორც მამაკაცის, ასევე ქალის უფლებათა თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი შესაძლებლობებზე და რესურსებზე. საჭიროა მხედველობაში იყოს მიღებული მათი განსხვავებული მოთხოვნილებები, მათ თანაბრად და ღირსეულად მოექცნენ და ისინი არ იყვნენ დისკრიმინირებულნი;

2. განვითარება: ადგენს რა ქალისა და კაცისთვის ქცევის, თვისებების, პროფესიების და მისწრაფებების მისაღებ და მართებულ საზღვრებს, გენდერული ნორმები

გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათაა. გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მატერიალურ კეთილდღეობას, თანაბარ შესაძლებლობებს, ისეთ ღირებულებებს, რომლებიც ემყარება ადამიანთა თანასწორობის რწმენას, თანაბარ მონაწილეობას გადანაცვტილების მიღებაში და თანაბარ კონტროლს რესურსებსა და შემოსავლებზე. ქალს, ისევე როგორც მამაკაცს, გააჩნია იმის უფლება, რომ იცხოვროს ღირსეულად, სიღარიბის, შიშისა და ძალადობის გარეშე.

თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ქალები და მამაკაცები ერთნაირები უნდა გახ-

დნენ. ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ადამიანი ქალად დაიბადა თუ მამაკაცად.

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს საყოველთაო ღირებულებას, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს და დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს. გენდერული თანასწორობის მოთხოვნა ხაზგასმულია როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ასევე ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში.

გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა ხაზგასმულია გაეროს ათასწლეულის განვითარების გეგმაში – სიღარიბის შემცირების და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გლობალურ ჩარჩო-დოკუმენტში – და ამ გეგმის რვა მიზნიდან ერთერთს წარმოადგენს. როგორც 2005 წლის მსოფლიოს მოსახლეობის მდგომარეობის ანგარიშში განიმარტა, გენდერული თანასწორობა ხელს შეუწყობს დანარჩენი შვიდი მიზნის განხორციელებას. თუმცა, ქალები და გოგონების დისკრიმინაცია, გენდერული ძალადობა, ეკონომიკური დისკრიმინაცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის უთანასწორობა და ზიანის მომტანი ტრადიციული პრაქტიკის არსებობა – ჯერ კიდევ რჩება გენდერული უთანასწორობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად.

გენდერული თანასწორობის დარღვევის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები ხშირად განათლებისა და დასაქმების სფეროში გვხვდება. მსოფლიოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გენდერული თანასწორობის კუთხით, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული დასაქმებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დაიხვენა სხვა-

დასხვა ქვეყნის ეროვნული პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა, მაინც რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. ქალები კვლავ განიცდიან დისკრიმინაციას სამუშაოს ხელმისაწვდომობის, განუფიქრებელი სამუშაოს ანაზღაურების, შეღავათების, სამუშაო პირობების და გადამწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მათი სიმცირის გამო. ბოლო მონაცემებით ცნობილია, რომ 829 მილიონი ქალი ცხოვრობს სიღარიბეში, მაშინ როდესაც იმავე პირობებში მცხოვრებ მამაკაცთა რაოდენობა 522 მილიონს შეადგენს¹.

დღეისათვის ქალთა განათლების მხრივ არსებული პროგრესის მიუხედავად, სხვაობა კვლავ რჩება შრომის ანაზღაურებასთან მიმართებით და ქალთა უმრავლესობა კვლავ დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზეა დასაქმებული. ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასის საშუალოდ 70-90%-ს შეადგენს, თუმცა ბევრ ქვეყანაში აღნიშნული მონაცემი საკმაოდ მნიშვნელოვან რიცხვებს აღწევს².

ევროკავშირის ქვეყნებში, ქალთა როლი ბიზნესსექტორში და ხელმძღვანელ თანამდებობებზე საკმაოდ დაბალია და პროგრესიც საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. 2012 წლის იანვრისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ბიზნესკომპანიების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მხოლოდ 13.7% არის ქალი³.

გენდერული სტერეოტიპები

გენდერული სტერეოტიპები ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შე-

1. Equality at work: The continuing challenge, REPORT OF THE DIRECTOR-GENERAL, Global Report under the follow-up to the ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work, INTERNATIONAL LABOUR CONFERENCE, 100th Session 2011, Report I(B)
2. ILO: Gender equality at the heart of decent work, Report VI, International Labour Conference, 98th Session, Geneva, 2009, para. 294.
3. Women in economic decision-making in the EU: Progress report, A Europe 2020 initiative

ხედულებებია ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა და სოციალურ ფუნქციებზე. რაც უფრო ტრადიციულია საზოგადოება, მით უფრო ძლიერია გენდერული სტერეოტიპების როლი.

გენდერული სტერეოტიპები მიგვითითებს იმაზე, რომ ქალის ადგილი სახლშია, ხოლო მამაკაცისა – სახლს გარეთ, რომ ქალი უნდა იყოს რბილი, დამთმობი, მზრუნველი, რომ მას არ შეუძლია წარმატებით მართოს და უხელმძღვანელოს დიდ საქმეს, რომ მას ევალება მხოლოდ წვრილმანი, ყოველდღიური საქმის შესრულება, რომ ის კარგი შემსრულებელია, მაგრამ არა შემოქმედი, რომ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები მამაკაცისას ჩამოუვარდება. ქალის მოვალეობაა, თავი მოაწონოს მამაკაცს, შეასრულოს რეპროდუქციული ფუნქცია (დაბადოს და გაზარდოს რაც შეიძლება მეტი შვილი), იზრუნოს ქმარზე, საკვებასა და სისუფთავეზე.

სტერეოტიპების თანახმად, მამაკაცი აგრესიული და უხეშია, აზროვნებს ლოგიკაზე დაყრდნობით, სწრაფად და ეფექტურად იღებს გადაწყვეტილებებს, არის უფრო ნიჭიერი, შემოქმედებითი, ყურადღებას არ აქცევს წვრილმანებს და ნაკლებად ემოციურია, შეუძლია პრობლემის არსის დანახვა და არ წვრილმანდება დეტალებზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, თავისუფალი დრო, გართობა, გადაადგილების თავისუფლება, აგრესიულობის გამოხატვა, ინტელექტუალური საქმიანობა და თავისუფლება ყოველდღიურ საზრუნავთაგან მამაკაცის პრეროგატივაა. ამასთან, სტერეოტიპი გვეუბნება, რომ ასეთი ვითარება ბუნებრივია, ყოველთვის ასე იყო და იქნება.

სტერეოტიპულ აზროვნებას საფუძველი

ეყრება აღზრდის დროს, როდესაც ბიჭებს და გოგონებს ძველი წარმოდგენებით განსხვავებულ და არათანასწორ ადამიანებად ვზრდით.

საზოგადოება, რომელიც გენდერული სტერეოტიპებით იმართება, მრავალ შეზღუდვას უქმნის ქალებსა და მამაკაცებს იმაში, რომ იმოქმედონ ინდივიდუალური უნარების და შესაძლებლობების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, მათი ადამიანური უფლებების შელახვაა. ამიტომ მიზანშეწონილია, გაცნობიერდეს სტერეოტიპები და გარკვეული სტრატეგიები იქნას მიმართული მათ დასაძლევად.

რას ნიშნავს გენდერული თანასწორობის მქონე საზოგადოება?

„გენდერული თანასწორობის მქონე საზოგადოება“, ეს არის „საზოგადოება, რომელშიც მამაკაცი და ქალი თანასწორი წევრები არიან, გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები და თანაბრად შეუძლიათ მონაწილეობა ყველა სახის სოციალურ აქტივობებში, გააჩნიათ თანაბარი პოლიტიკური და კულტურული უპირატესობა და იზიარებენ პასუხისმგებლობას“⁴. ამგვარ საზოგადოებაში, მამაკაცისა და ქალის ადამიანის უფლებები თანაბრად არის დაცული. ქალს, რომელსაც სურს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად იყოს ჩართული, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების აქტივობაში საკუთარი არჩევანის საფუძველზე, ხოლო მამაკაცს, სურვილისამებრ, შეუძლია შეასრულოს ოჯახური ფუნქციები. გენდერული თანასწორობის მქონე საზოგადოება, ეს ისეთი საზოგადოებაა, რომელსაც ქალი და მამაკაცი თანასწორი პარტნიორობის საფუძველზე ქმნიან.

4. Law on Gender Equality in Society, OSCE, 2008

მართლაც მდიდარი საზოგადოების შექმნა დამოკიდებულია ისეთი სოციალური გარემოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, სქესისა თუ გენდერის მიუხედავად, თავად აირჩიოს ცხოვრების წესი, არ იყოს შეზღუდული ხისტი, სტერეოტიპული გენდერული როლებით.

ქალი და გადაწყვეტილების მიღება

საზოგადოებასა და არაფორმალურ ორგანიზაციებში, ისევე როგორც სახელმწიფო სამსახურში, ქალებმა აქტიური ლიდერების სახელი დაიმკვიდრეს. თუმცა, ქალისა და მამაკაცის სოციალიზაცია და მათი ნეგატიური სტერეოტიპების შექმნა, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითაც, აძლიერებს ტენდენციას, რომ სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მამაკაცის პრეროგატივაა. გარდა ამისა, ხელოვნების, კულტურის, სპორტის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, განათლების, რელიგიისა და კანონმდებლობის სფეროებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა მცირერიცხოვნება, ქალს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ძირითად ინსტიტუციებზე⁵.

პეკინის სამოქმედო პლატფორმა მოუწოდებს მთავრობებს, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს, მიიღონ ზომები შემდეგი მიზნების მისაღწევად:

● ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა სახელისუფლებო

ბო სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

● ქალის მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ხელმძღვანელობაში.

ყველა ქვეყანაში, მთავრობის ყველა დონეზე, ქალები ჯერ კიდევ უმცირესობაში იმყოფებიან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ



ქვეყანაში მიღებულ იქნა ზომები ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის, პროგრესი ძალიან ნელა მიიღწევა. მრავალ ქვეყანაში, მთავრობის ყველა დონეზე, განსაკუთრებით სამინისტროებსა და სხვა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში, ქალთა წარმომადგენლობა ჯერ კიდევ ძალიან მწირია. დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნებში, პოლიტიკაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კვლავ ჭარბობენ მამაკაცები. ევროკავშირის ნევრი ქვეყნების პარ-

5. პეკინის მოქმედების პლატფორმა, პარაგრაფი 183

ლამენტებში საშუალოდ 1-ზე ნაკლები ქალი მოდის ყოველ 4 წევრ მამაკაცზე. ევროპარლამენტში (2009-2014) ყოველი 10-დან სამი წევრი ქალია⁶. მთელი მსოფლიოს საპარლამენტო ადგილების მხოლოდ 17% უკავიათ ქალებს, 150 ქვეყნიდან მხოლოდ 7-შია ქალი არჩეული ქვეყნის მმართველად, ხოლო 192 ქვეყნიდან მხოლოდ 11-ში – მთავრობის ხელმძღვანელად⁷.

გენდერული ძალადობა

გენდერული ძალადობა არის ნებისმიერი აქტი, რომლის შედეგადაც ქალს მიეყენება ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან განცდა, მათ შორის, ამგვარი აქტის განხორციელების მუქარაც, იძულება ან თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა საზოგადოებრივ თუ ოჯახურ ცხოვრებაში⁸.

● გენდერული ძალადობა მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგი შემთხვევებით: ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს ოჯახში, მათ შორის, ცემა, ოჯახში გოგონებზე სექსუალური ძალადობა, მზითვთან დაკავშირებული ძალადობა, მეუღლის გაუპატიურება, ტრადიციული პრაქტიკა, რომლებიც საზიანოა ქალისათვის, ქორწინებისგარეშე ძალადობა და ექსპლუატაცია;

● ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებაში, მათ შორის, გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, სექსუალური იძულება და დაშინება სამსახურში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ნებისმიერ სხვა ადგილას, ქალების ტრეფიკინგი და

იძულებითი პროსტიტუცია;

● ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო ნებისმიერ ადგილას.

რეპროდუქციის სფეროში გენდერული ძალადობის ზეგავლენა შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი, რაც შეიძლება გამოვლინდეს:

● არასასურველი ორსულობის და ოჯახის დაგეგმვისა და კონტრაცეპციის გამოყენების შეზღუდვით;

● ძალადობის ფონზე განვითარებული არასასურველი ორსულობის გამო განხორციელებული სახიფათო აბორტით თუ დაზიანებებით;

● გართულებებით, რომლებიც თან ახლავს ხშირ, მაღალი რისკის ორსულობასა და სათანადო მკურნალობის უკმარისობას;

● სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელებით, მათ შორის – შიდსის;

● ხანგრძლივი გინეკოლოგიური პრობლემებით;

● ფსიქოლოგიური პრობლემებით.

მთელ მსოფლიოში გენდერული ძალადობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა; ხოლო გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების ეფექტური და სათანადო სისტემა იშვიათად არის კარგად ჩამოყალიბებული. ლტოლვილები, განსაკუთრებით კი ქალები და ბავშვები, ძალადობის, ექსპლუატაციისა და იძულების ძალზე დიდი რისკის წინაშე არიან, რაც, ხშირ შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტის, იძულებითი გადაადგილების, სოციალური, ოჯახური და საზოგადოებრივი ქსელის რღვევისა და ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის დაკარგვის შედეგს წარმოადგენს.

6. Gender balance in decision-making positions, European Commission. Available at :www.ec.europa.eu

7. The World's Women 2010, United Nations, New York, 2010

8. დეკლარაცია ქალის წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1993 წელი

ძალადობა ოჯახში

საქართველოში, 2006 წლიდან მოქმედებს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. კანონი განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის; არეგულირებს ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალურ და სამართლებრივ დაცვასა და დახმარებას⁹. კანონის მიზანია ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარება, მათი უფლებების და თავისუფლების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

რას ნიშნავს ოჯახში ძალადობა?

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით¹⁰. ოჯახში ძალადობის ძირითადი ტიპები იგივეა, რაც გენდერული ძალადობისა:

● **ფიზიკური ძალადობა:** ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯა-

ხის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

● **ფსიქოლოგიური ძალადობა:** შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

● **ეკონომიკური ძალადობა:** ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

● **იძულება:** ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

● **სექსუალური ძალადობა:** სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმნეობის გამოყენებით; სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

მოდალადე შეიძლება იყოს: პარტნიორი, ყოფილი პარტნიორი, მამა, ოჯახის სხვა წევრი ან სხვა ადამიანი, რომელიც ოჯახთან ერთად ცხოვრობს და რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

ოჯახური ძალადობისთვის დამახასიათებელია ის, რომ ძალადობის მსხვერპლი ვერ თავისუფლდება ამ ძალადობისგან და რჩება ზენოლის პირობებში, ვერ მიმართავს

9. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006 წელი 10. იგივე

დახმარებისათვის და არავის აცნობებს ამის შესახებ.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ზომების მიღებისას მნიშვნელოვანია მისი ხელშემწყობი და მასზე მოქმედი ფაქტორების ცოდნა. პრევენციული ზომები მიმართულია როგორც პოტენციური მოძალადეების, ისე პოტენციური მსხვერპლების მიმართ და ასევე იმათ წინააღმდეგ, ვინც შეიძლება მათ ეხმარებოდეს.

ეფექტური პრევენციული ღონისძიებები მოიცავს 5 ამოცანაზე მიმართულ ქმედებებს: სოციალურ-კულტურული ნორმების შეცვლა ქალთა გაძლიერების მიმართულებით; ოჯახური, საზოგადოებრივი და დახმარების სტრუქტურების გამყარება; ეფექტური სამსახურების შექმნა; სამართალდამცავ სტრუქტურებთან მუშაობა, რათა უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან; გენდერული ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი და მათი აღრიცხვა.

ტრეფიკინგი

ადამიანების ტრეფიკინგი არის მონობის თანამედროვე ფორმა, რომელიც გამოიხატება ადამიანების მიმართ შრომითი ექსპლუატაციით.

ტრეფიკერები აგროვებენ ადამიანებს, უმეტესად კი ისეთ ქალებს და ბავშვებს, რომლებიც სიღარიბითა და საარსებო რესურსების სიმცირით გამოირჩევიან. ისინი ადამიანებს იზიდავენ უკეთესი ცხოვრების დაპირებით და შემდეგ აიძულებენ იცხოვრონ და იმუშაონ უსამართლო, არაჰუმანურ ან ძალადობრივ პირობებში. სექსუალურ ტრეფიკინგში ივლისსხმება კომერციული სექსუალური აქტი შესრულებული ძალის გამოყენებით, მოტყუებით, იძულებით ან იმავე აქტის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი; ან მოგ-

როვება, განთავსება, ტრანსპორტირება, გარიგება ან პირის გამოყენება ფიზიკური შრომისათვის და სხვა მომსახურებისათვის ძალის გამოყენებით ან იძულებით ნებისსწინააღმდეგო მორჩილების, კაბალურ მდგომარეობაში ჩაყენებით, ვალის დაკისრება ან მონობა. ადამიანებით ტრეფიკინგი მოიცავს იძულებას, მოტყუებას ან ძალის გამოყენებას სხვა პირზე კონტროლის განხორციელების მიზნით. ეს დანაშაული მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მოიცავს ბევრ კანონდარღვევას, მათ შორისაა ადამიანის უფლებების შეზღუდვა, გაუპატიურება, წამება. ტრეფიკინგი არღვევს ადამიანების თავისუფლების უსაფრთხოებას, რადგან პირი ამ დროს იმყოფება არაადამიანური მონობის პირობებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) განმარტავს, როგორც: „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარეგნის განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების განწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება მისი სხეულის

ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმონერი-სა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს¹¹.

ტრეფიკინგის ამოსავალი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაა. ადამიანს არა აქვს სამუშაოს შიგნის პერსპექტივა. ასეთი ადამიანი უუფლებოა. არ არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელიც იტყვის, რომ სურს იყოს ძალადობის ობიექტი. საზღვარგარეთ ყველა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით მიდის. ამასთან ერთად, მიდიან ისეთები, ვისაც აქვს პროფესია, განათლება, გამომუშავებული აქვს სამუშაო უნარ-ჩვევები და გამოცდილება. ბუნებრივია, ადამიანები ადვილად თანხმდებიან ნებისმიერ სამუშაოს (საკუთარ ქვეყანაში ან ძალზე დაბალია ანაზღაურება, ან არ არის სამუშაო ადგილი).

მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ადამიანები, განსაკუთრებით ქალები და გოგონები, საკუთარი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ხშირად ირჩევენ შინამოსამსახურის, მიმტანის ან ქარხნის მუშის მაღალანაზღაურებად სამსახურს. ადამიანით მოვაჭრეები კი პოულობენ მსხვერპლს ყალბი რეკლამების, კატალოგებისა და შემთხვევითი ნაცნობობის

მეშვეობით. ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლი ფიზიკურად შეზღუდულია, სამგზავრო და საიდენტიფიკაციო დოკუმენტები წართმეული აქვს, მას და მის ოჯახს მუქარით აიძულებენ ითანამშრომლონ. ქალებსა და გოგონებს იძულებით ამუშავებენ მეძავეზად და აშანტაუებენ. ადამიანით მოვაჭრეები ასევე სარგებლობენ მსხვერპლის შიშით იმის გამო, რომ თუ დახმარების თხოვნით მიმართავენ უცხო ქვეყნის მთავრობას, ისინი დაპატიმრებული ან დეპორტირებული იქნებიან.

ბოლო წლებში საქართველოში გაიზარდა ანტიტრეფიკინგული ღონისძიებების დაფინანსება. ამასთანავე, საქართველო შეუერთდა დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს – ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციას ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის დამატებითი პროტოკოლისა და ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

გენდერული თანასწორობა საქართველოში

ხშირ შემთხვევაში, ტრადიციულ საზოგადოებაში გენდერულ თანასწორობას ნიჰილისტურად და უნდობლად ხვდებიან. თუმცა, გენდერული თანასწორობის დამკვიდრება დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. საქართველოსთვის ეს თემა განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების ხელმოწერის შემდეგ.

მთავრობის მიერ გენდერული თანასწო-

11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2006, მუხლი 1431, 1432

რობის საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის, აღნიშნულ საკითხებზე მთავრობის საქმიანობის კოორდინაციის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, 2008 წელს შეიქმნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სამინისტროებისა და სხვა უწყებების თანამდებობის პირები. საბჭო აქტიურად მუშაობს საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მისი ინიციატივით დაიწყო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება, რომელიც 2010 წლის მარტში ძალაში შევიდა, როგორც კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. აღნიშნული კანონის მიღება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია გენდერული თანასწორობის საკითხების საკანონმდებლო დონეზე სრულყოფისათვის. იგი ადგენს ქალისა და მამაკაცის კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებსა და გარანტიებს, განსაზღვრავს მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს და პირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ადგენს გენდერული თანასწორობის დარღვევისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს. აღნიშნული კანონი საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ავალდებულებს, მონაწილეობა მიიღოს გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო საკითხების უზრუნველყოფაში, გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვასა და მისი რეალიზაციისათვის სათანადო პირობების

შექმნაში. კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“ სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობის და აღნიშნულ სფეროში სამთავრობო საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, შეიქმნა მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია¹². კანონის მიხედვით საბჭო მუდმივმოქმედ ორგანოდ ჩამოყალიბდა.

მიღებული კანონის განხორციელების მიზნით, პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობით მომზადდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც პარლამენტმა 2011 წლის 5 მაისს დაამტკიცა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების გატარებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მისი ძირითადი მიზნებია: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა; გენდერული ასპექტების განათლების სფეროში შეტანისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; ეკონომიკის სფეროში ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის ნახაზის გახატვა; გენდერული სტატისტიკის სრულყოფა; ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად, გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება; გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა; სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

12. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2009, მუხლი 16,1